ყველა
თბილისელს,
დედაქალაქის
სტუმარს
▼

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 57
(7368)

1983 წ.
23
მარტი,
ოთხშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

ვემზადოთ ჯანმრთელობის ახალი დღესასწაულისათვის

გადავაქციოთ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის ქალაქად!

საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობაზე, მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა პარტიისა და მთავრობის მუდმივი ყურადღების ცენტრშია. ხალხის ჯანმრთელობა — ეს ის ქვაკუთხედია, რომელზე დაყრდნობითაც წარმატებით გადაიჭრება თავდაცვითი, შრომითი, საყოფაცხოვრებო და სხვა ამოცანები. მხოლოდ მხნე, კუნთმაგარ და გაკაჟებულ თაობას შეუძლია მიაღწიოს ჩვენი ხალხის მიერ დასახულ მიზნებს.

სწორედ ზემოხსენებული ზრუნვის გამოძახილია საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის XXXVIII კონფერენციაზე წამოყენებული მოთხოვნა: „გადავაქციოთ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის ქალაქად!“ ყველას გვახსოვს თუ რა დიდი გამოხმაურება გამოიწვია ამ მოწოდებამ და დაიბადა დედაქალაქის ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის სიახლე: **აპრილის პირველი კვირადღე გამოცხადდა მასობრივი ფიზკულტურის, ჯანმრთელობის გაკაჟების, შინაარსიანი გართობის და დასვენების დღესასწაულად.**

შარშან, 4 აპრილს, თბილისის სპორტულ ბაზებს, კულტურულ-დასასვენებელ პარკებს, რომლებსაც ცალკეული სპორტსაზოგადოებები შეფობდნენ, უამრავი თბილისელი და დედაქალაქის სტუმარი ეწვია. გაიმართა ასპარეზობანი სპორტის მრავალ სახეობაში, არც ძველი ეროვნული თამაშობანი დაუვიწყებიათ. ზეიმმა ჭეშმარიტად სახალხო ხასიათი მიიღო: სარბიელზე 100000-მდე კაცი გამოვიდა.

მაგრამ ფიზკულტურელთა ეს რაოდენობა მილიონიანი ქალაქის გუშინდელი დღეა. ცხოვრება მოითხოვს, რომ არ დავჯერდეთ მიღწეულს, საჭიროა ამ ახლადდამკვიდრებული ტრადიციის განმტკიცება, მეტი მასობრიობა, საორგანიზაციო მუშაობის დახვეწა. ამ საშვილიშვილო ღონისძიებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც სხვადასხვა ორგანიზაციების, ისე თითოეული ჩვენგანის პირად ინიციატივას: თუ ყურადღებით მიმოვიხედავთ ირგვლივ, შევნიშნავთ ფიზკულტურული ცხოვრებისაგან განზე მდგარ მრავალ ადამიანს. თუ ყოველი ჩვენგანი შეძლებს თუნდაც ერთი მათგანი ჩააბას სპორტული ზეიმის ფერხულში, ჩვენ მოქალაქეობრივ ვალს მოვიხდით. ძალზე საყურადღებოა დღესასწაულში სპორტის ვეტერანების და მოქმედ სპორტსმენთა მონაწილეობაც: მათ თავისი ავტორიტეტით და სპორტული ოსტატობის დემონსტრირებით შეუძლიათ მრავალი გულშემატკივარი მიიზიდონ ფიზკულტურულ სარბიელზე.

დედაქალაქის ფიზკულტურელთა წლევანდელი ზეიმი 3 აპრილისათვის არის დანიშნული. დრო ცოტა რჩება, ამიტომ ახლავე უნდა დავრაზმოთ პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და ფიზკულტურული აქტივი, რათა 3 აპრილს დედაქალაქის სპორტული ბაზები, სპორტკლუბები, კულტურულ-დასასვენებელი პარკები გალამაზებული და საზეიმოდ მორთული შეხვდნენ მასობრივ სპორტულ დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად გამოსულ თბილისელებს, დედაქალაქის სტუმრებს.

ძვირფასო თბილისელებო! ჩვენი უძველესი და მრავალჭირნახული ქალაქი მრავალი შთამბეჭდავი ზეიმის მომსწრეც ყოფილა. ახლაც, 3 აპრილისათვის დანიშნული ფიზკულტურული და სპორტული ზეიმი სახალხო ხასიათს მხოლოდ თქვენი აქტიური მონაწილეობის შემდეგ მიიღებს.

ემზადეთ ჯანმრთელობის, სიჭაბუკისა და სიჩაუქის დღესასწაულისთვის!

ვიქტორ ხურდას წარმატება

ტალინში დამთავრდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 7 ქვეყნის სპორტსმენები გამოდიოდნენ.

კარგად იასპარეზა თბილისელმა ვიქტორ ხურდამ. — შერეულ წყვილთა ასპარეზობაში ლვოველ სავჩენკოსთან ერთად პირველობა მოიპოვა. გადამწყვეტ მატჩში მათ სძლიეს სალნიკოვასა (მოსკოვი) და ძელდეს (რიგა) დუეტს — 6:1, 7:5.

შემდეგ ვიქტორმა ბაქოელ ახმეროვთან ერთად წყვილთა ასპარეზობაში მეორე ადგილი დაიკავა, წააგო პუგაევისა (მოსკოვი) და ემრიხის (გდრ) წყვილთან — 4:6, 4:6.

ქალთა წყვილების ასპარეზობის ფინალში ზაიცევა-ჩერნიოვას დუეტმა დაამარცხა სავჩენკო-ბიკოვა — 6:2, 7:5.

საათნახევარს გაგრძელდა ქალთა ერთეულების ფინალური შეხვედრა სავჩენკოსა და რევას შორის. ორ პარტიაში გაიმარჯვა სავჩენკომ — 7:5, 6:4. მესამე ადგილზეა კაშევაროვა (მოსკოვი).

ვაჟთა ერთეულების ფინალში პუგაევის მეტოქე იყო სუურტალი (ტალინი). ანგარიშით — 6:2. 6:4 გაიმარჯვა პუგაევმა. მესამე ადგილზე გავიდა კიეველი ფილევი.

● **ჩოგბურთი**

კვლავ გაბრიჩიძე

მინსკში დამთავრდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ მოზარდ ჩოგბურთელთა ტურნირი, რომელშიც 1965-68 წწ დაბადებული 60 უძლიერესი სპორტსმენი მონაწილეობდა.

გოგონათა შორის პირველობა არავის დაუთმო ტაშკენტელმა ნ. სტეპანოვამ, II ადგილზე გავიდა ლენინგრადელი ო. ივანოვა, მესამეზე — ტალინელი მ. სტამბერგი. თბილისელმა მოსწავლემ თ. ანტონიანმა მეოთხედფინალში წააგო ფინალისტ ო. ივანოვასთან, შემდეგ ორი შეხვედრა მოიგო და ასეთ წარმომადგენლობით ტურნირში მეხუთე საპატიო ადგილი დაიკავა.

ჭაბუკ ერთეულთა შეჯიბრებაში დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა თბილისის VIII სპარტაკიადის გამარჯვებულმა, საქართველოს დამსახურებული მწრთნელის გ. ჩახუნაშვილის აღზრდილმა, 66-ე სკოლის მერვეკლასელმა ვ. გაბრიჩიძემ, რომელიც წლეულს შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე იმაღლებს ოსტატობას. მან ფინალში ანგარიშით 6:3, 4:6, 6:2 დაამარცხა ძლიერი მეტოქე, სარატოველი დ. ფიდოროვი და დაამტკიცა, რომ თბილისის სპარტაკიადაზე მისი გამარჯვება შემთხვევითი არ იყო. 10 საუკეთესოს შორის მოხვდნენ აგრეთვე გ. ლეჟავა და ლ. რაზმაძე.

წყვილთა თანრიგში ვერცხლის ჯილდო თანაგუნდელ დ. კაპარავასთან ერთად დაისაკუთრა ვ. გაბრიჩიძემ. აქ I ადგილი ხვდათ ვორონეჟელ დ. ბუზინსა და სარატოველ დ. ფედოროვს.

ა. მალაიანცი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

გამარჯვება იოკოჰამაში

ტოკიო. პირველ საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელიც მარათონულ დისტანციაზე ესტაფეტაში გაიმართა, საბჭოთა მორბენლებმა გაიმარჯვეს. ამ შეჯიბრების ტრასა გადიოდა იაპონიის ქალაქ იოკოჰამაში. კლასიკური მარათონის სიგრძის ესტაფეტის ტრასა 6 ნაწილად იყო დაყოფილი (5-დან 10 კმ-მდე).

ლენინგრადელმა ო. დვირნამ, უსტკამენოგორსკელმა ნ. გუმეროვამ, მინსკელებმა ე. ცუხლომ და რ. სმეხნოვამ, ალმაათელმა ზ. ივანოვამ და ულიანოვსკელმა რ. სადრეიდინოვამ მანძილი 2:19.53-ში დაფარეს და ორი წუთით გაუსწრეს დიდი ბრიტანეთის ძლიერ გუნდს. III ადგილზე გავიდნენ აშშ-ის მორბენლები.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ აგრეთვე საფრანგეთის, იტალიის, ახალი ზელანდიის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კენიისა და იაპონიის გუნდები. (საქდესი).

წოდებათა მინიჭება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ბრძანებით **„სპორტის ოსტატის“** წოდება მიენიჭათ:

კალათბურთში — გელა დარსაძეს, პაატა გურასპაულს (ორივე — „დინამო“, თბილისი).

საცხენოსნო სპორტში — კახა გეგეჭკორს („კოლმეურნე“, თბილისი), ავაქ სამველიანს („კოლმეურნე“, ოჩამჩირე).

კლასიკურ ჭიდაობაში — ვართან არუთინიანს („შრ. რეზერვები“, თბილისი), დავით ბაკურაძეს („განთიადი“, ბათუმი), მალხაზ კოკოლაძეს („ვოდნიკი“, ბათუმი), ვახტანგ დონლუზაშვილს, დავით მჟავიას (ორივე — „სპარტაკი“, თბილისი), გოჩა ლომიძეს, ზაზა აბრამიას, ვასილ ქავთარაძეს, გიორგი აივაზოვს (ყველა — „ბურევესტნიკი“, თბილისი).

ახლოვდება სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის ფინალური სტარტები

სპეციალისტის ტრიბუნა

დიდი გამოცდის წინ

სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის დაწყებამდე არც ისე დიდი დრო დარჩა.

სპორტსმენის ვარჯიში და აღზრდა ეს მრავალი წლის მანძილზე ჩამოყალიბებული კომპლექსური პროცესია, რომელიც გარკვეული კანონზომიერებით ვითარდება, მაგრამ დარჩენილი დროის რაციონალურად გამოყენებაზე ბევრადაა დამოკიდებული ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილთა სპორტულ-ტექნიკური მაჩვენებლები. ცნობილია, რომ ვარჯიშის უმაღლესი დონე ძირითადად განპირობებულია კოორდინაციული მექანიზმების ოპტიმალური ფუნქციონირებით. ვარჯიშის მართვის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა დატვირთვის კორექცია ხასიათის, მოცულობისა და ინტენსივობის მიხედვით; მუშაობისა და დასვენების ოპტიმალური შესაბამისობის მიღწევა და მთელი ძალებისა და შესაძლებლობების აღდგენა საჭირო დროისთვის. სასურველია ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მწვრთნელებმა ჩაატარონ შესაბამისი მუშაობა სასწავლო-სავარჯიშო პროცესის შემდგომი ინტენსიფიკაციისათვის. საიდუმლო არ არის, რომ ამ მხრივ ჩვენი სპორტსმენების მომზადება საგრძნობლად ჩამორჩება.

ამის მოსაგვარებლად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ამაღლდეს სპორტსმენთა აქტიურობა მზადების გეგმების რეალიზაციისთვის. ამ ამოცანის გადასაჭრელად მრავალი მეთოდი და საშუალება არსებობს, რომელთაგან ყველაზე ეფექტურია მწვრთნელისა და სპორტსმენის მიერ შემუშავებული ვარჯიშის გეგმის შესრულების ანალიზი.

მთავარია მიზნისა და შუალედური დავალებების განსაზღვრა, იმ რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების განხილვა, რომლებიც მაღალი შედეგის მიღწევას ემსახურება. თანაც ყოველივე ეს ისე დასაბუთდეს, რომ სპორტსმენი დარწმუნდეს დასახული გზის სისწორეში. ეს სამუშაო უნდა შესრულდეს კვირაში ერთხელ. სპორტსმენთან ერთად ჩატარებული მუშაობის ანალიზი და ვარჯიშის მომავალი გეგმის განხილვა შექმნის დაგეგმილი დატვირთვის შესრულების წინაპირობას და მათს გეგმიურ ზრდას. ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს სწორი, საქმიანი დამოკიდებულების დამყარებას, ყოველგვარი მოჩვენებითი სიმკაცრისა და უხეშობის გარეშე. ასეთი მუშაობის შესაძლებლობა კი ნამდვილად არსებობს. დღეს მწვრთნელს, როგორც წესი, 12-4-ზე მეტი აღსაზრდელი არ ჰყავს, რაც ინდივიდუალური მუშაობის გაუმჯობესების აუცილებლობამ განაპირობა, ჯგუფებში საჭირო მიკროკლიმატის დამყარება ხელს შეუწყობს გუნდებში ასეთივე ატმოსფეროს შექმნას, რომელიც საბოლოოდ გააუმჯობესებს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას.

ამ ამოცანის გადაჭრაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია კომპლექსურ სამეცნიერო ჯგუფს, რომელსაც წვრთნის დატვირთვათა რეგულირებაში უფრო მეტი წვლილის შეტანა მართებს. კომპლექსური სამეცნიერო ჯგუფის მუშაობაში უნდა ჩაერთონ აგრეთვე ფიზკულტურის ინსტიტუტის მასწავლებლები და სტუდენტები. მზადების აუცილებელი ფაქტორია ქმედითი კონტროლი, სწორედ ქმედითი და არა უბრალო დასწრება ვარჯიშებზე ან ანგარიშების მოსმენა.

სპორტსმენის უმაღლესი სპორტული ოსტატობის მწვერვალამდე მიყვანა დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. აქ პირველ რიგში თავს იჩენს ტექნიკის სრულყოფის ფიზიკურ, ტაქტიკურ და ფსიქოლოგიურ მომზადებასთან ჰარმონიული შერწყმის აუცილებლობა. აი, პირველ რიგში რას უნდა მივაქციოთ ყურადღება.

უნდა გვახსოვდეს, რომ სპორტსმენის იდეურ-პოლიტიკური მომზადება და მორალური თვისებები, მისი შრომისნაყოფიერება ყველაზე უკეთ სარბიელზე ჩანს.

ს. ჯაიანი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ჩვენი გამოსვლების ქმედითობა

„ლელოს" 1983 წლის 5 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით „ოპერატიული შტაბი მოქმედებს", რომელშიც გაკრიტიკებული იყო ავტოკოლონა № 2652-ის ფიზკულტურული და მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობა. აღნიშნული იყო, რომ ავტოკოლონის 421 მუშა-მოსამსახურე საერთოდ მოწყვეტილია ფიზკულტურას, სპორტს, არ არის ჩამოყალიბებული ფიზკულტურის კოლექტივი, არც სპორტული თუ ფიზიკური მომზადების სექციები ფუნქციონირებს.

ამ დღეებში რედაქციამ მიიღო წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ **მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.**

„აღნიშნული საკითხი განვიხილეთ ავტოკოლონის ადმინისტრაციის, პარტბიუროს, პროფკომიტეტისა და კომკავშირის კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე. დავსახეთ კონკრეტული ღონისძიებები.

ამჟამად შექმნილია მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის საბჭო 7 კაცის შემადგენლობით. არჩეულია საზოგადოებრივი ინსტრუქტორი, ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული, შედგენილი და დამტკიცებულია საბჭოს მუშაობის წლიური გეგმა. ჩამოყალიბდა ფეხბურთის, ფრენბურთის, ჭადრაკის, შაშისა და თევზჭერის მოყვარულთა სექციები, რომელთა წევრები მონაწილეობას მიიღებენ რაიონის და გაერთიანების მასშტაბით მოწყობილ სპორტულ ღონისძიებებში".

წერილს ხელს აწერენ ავტოკოლონა № 2652-ის უფროსი **ვ. ბაიაჯანი,** პარტბიუროს მდივანი **ვ. ნატროშვილი,** პროფკომიტეტის თავმჯდომარე **შ. ჯაფარიძე** და ალკკ ბიუროს მდივანი **ვ. შერმაზანაშვილი.**

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წელი

ვ. „პირველი ნაბიჯის" ავტორის პირველი ნაბიჯები

24 წლის ჭაბუკი იყო ქართველი თერგდალეული, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე გიორგი წერეთელი, როცა გაზეთ „დროება" ჩაუდგა სათავეში. „გიორგი წერეთლის მეცადინეობასა, ნიჭსა და სამშობლოს საქმის სიყვარულს ვუმადლოდეთ, თუ დღეს ჩვენი გაზეთი ცოცხალია და თუ შემდეგში იმას დღეგრძელობა მოელის" — წერდა ს. მესხი.

რუსეთში განსწავლულმა ახალგაზრდამ უკვე ერთი წლის შემდეგ თავის გაზეთში გამოაქვეყნა ვრცელი წერილი, რომელმაც, თამამად შეიძლება ითქვას, დიდი როლი ითამაშა ქართული პედაგოგიკური აზროვნებისა და, მასთან, ფიზიკური აღზრდის იდეების შემდგომი განვითარების მიმართულებათა განსაზღვრაში. ამ წერილის სათაურია „თვით-მოქმედება" („დროება", 1867 წ. № 22); კითხულობ წერილს და კიდევ ერთხელ რწმუნდები ჩვენი სამოციანელის დიდ განსწავლულობაში; სხვაგვარად შეუძლებელი იყო სრულიად ახალგაზრდას საპროგრამო სტატია შეექმნა მოზარდი თაობის აღზრდის, ფიზიკური აღზრდის დიდი დანიშნულების, და საერთოდ, ადამიანის ჰარმონიული აღზრდის რთულ პრობლემებზე.

დღეს თუ ამ სტატიის ფრაგმენტებს ვთავაზობ მკითხველს, ამას ვაკეთებ არა მარტო ჩვენი სახელოვანი მწერლის მოღვაწეობის დღემდე ნაკლებად ცნობილი მომენტის წარმოჩენის მიზნით, არამედ იმ მიზნითაც, რომ ჩვენი მკითხველი, ფიზიკური აღზრდის თანამედროვე სპეციალისტები გაეცნონ ბევრ საინტერესო შეხედულებას.

აღსანიშნავია, რომ ფიზიკური აღზრდის საკითხებზე მომუშავე მოღვაწეების, კონკრეტულად კი — მილტონის, ჩანინგის, ტეილორის, ველინგტონის, განსაკუთრებით კი — რუსი რევოლუციონერი დემოკრატების შეხედულებათა შესწავლის ნიადაგზე გ. წერეთელს გამოაქვს დასკვნა, რომ „ძველს დროში დიდი ყურადღება იყო მიქცეული კაცის ფიზიკურს ძალზედ და ყოვლის ღონისძიებით ცდილობდნენ, რომ კაცში შეეერთებინათ ძლიერი სული ძლიერს სხეულთან".

წერილის ძირითად ხაზს ადამიანის ჰარმონიული აღზრდის პრობლემა წარმოადგენს. ჭეშმარიტ განათლებად ავტორს მიაჩნია სწავლა-აღზრდის ისეთი პროცესი, როდესაც იგი თანაბრად ზემოქმედებს „როგორც სულზედ, ისე სხეულზედ... ნამდვილი განათლებული კაცი ის არის, რომელშიაც იმის ბუნების ყოველი მხარე გახსნილია და ერთმანეთთან ისე არიან შეთანასწორებულნი, რომ არც ერთი მხარე არ დასძლევს მეორეს".

გ. წერეთელი ხაზგასმით მიუთითებს იმაზე, რომ თანაბარზომიერების დარღვევა აღზრდის სხვადასხვა მხარეებს შორის, ანდა რომელიმე მათგანის იგნორირება ჰარმონიული აღზრდის უპირველესი მტერია. მოვუსმინოთ ავტორს: „თუ ერთი რომელიმე მხარე დავიწყებულია, მაშინ ვერ ვიტყვით, რომ კაცი სრულიად განათლებული იყოს. განათლება უნდა შეეხოს მთელს ადამიანს, ყოველს მის ძალას (ფიზიკურს და ზნეობითს); უნდა მისცეს იმგვარი მიმართულება, რომ კაცის ბუნებამ მიიღოს შესაფერი სისრულე ყოვლის მხრით. თუ ფიზიკურს მხარეს მიაქცევთ მომეტებულს ყურადღებას, თქვენ დაჰბადებთ ან ათლეტს და ან ველურ კაცს, და თუ სულიერის მხარის გახსნას ეცდებით, თქვენ აღზრდით იდეალისტს, ხოლო უკეთუ მოიწადინებთ მარტო გონების გახსნას, მაშინ თქვენი მოწაფე შეიქნება ან უგუნური და ან ჭკუიდან შეშლილი..."

ახლა ვნახოთ რა არასასურველი შედეგების მიღებას ვარაუდობს გ. წერეთელი იმ შემთხვევაში, თუ აღზრდის საერთო პროცესიდან განიდევნება ფიზიკური აღზრდა. „ახლანდელის ყმაწვილების აღზრდაში, — წერს იგი, — არ უნდა დავივიწყოთ ძარღვების გამაგრება და გაღონიერება. აქამომდე ვხედავთ, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ასრულებს კურსს და ლათინურით გამოტენილი თავი დააქვს სხვადასხვა უვარგისი ცნობებით, და ამასთან სხეული დამჩატებული, დაუძლურებული და სიცოცხლე-მოკლებულია. იქნება ჩვენ ახალგაზრდობას კარგად ეყურებოდეს გრამმატიკული კანონები, მაგრამ შენიშვნის და დაკვირვების ნიჭი კი უფრო უბრალო მჭედლებს და დურგლებს აქვსთ, მინამ ჩვენს ახალგაზრდობას...", უფრო მეტი: „ჩვენ, — განაგრძობს ავტორი, — ხშირად შევხვედრით იმისთანა მსწავლულებს, რომლებმაც თავისი მეცნიერების მეტი არა იციან-რა და თავის წრეს გარეთ სრულებით უვარგისნი არიან". გ. წერეთელს სწამს, რომ „სპეციალისტი-სწავლულის შრომის ნაყოფი დამოკიდებულია იმის სხეულზედ და სიმრთელეზედ. მთელი და მაგარი გული ისე რიგათ არის საჭირო ადვოკატისათვის და სახელმწიფო კაცისათვის, როგორადაც განათლებული გონება".

ამ ციტატის მოტანით ის კი არ გვინდა ვამტკიცოთ, რომ ავტორი ზომაზე მეტად აფასებდა ფიზიკურ აღზრდას და გონებრივ აღზრდაზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მას. პირიქით, მან კარგად იცოდა, რომ „კაცისათვის სხეულის სიმრთელე საჭიროა; მაგრამ უმეტესად საჭიროა სწავლაში ბეჯითობა და გულის დადება". ფიზიკური აღზრდა ეხმარება ადამიანს ინტელექტის ამაღლებაში, გონებრივი და ზნეობრივი აღზრდის მოწესრიგებაში, „ფიზიკური ვარჯიშობა დაეხმარება იმას და ამ სახით ყმაწვილს მიეცემა სრული ჯანმრთელი აღზრდა".

როგორც ცნობილია, ქართველი თერგდალეულების იდეური მასწავლებლები, განსაკუთრებით კი ნ. გ. ჩერნიშევსკი, აიდეალებდნენ ფიზიკურ შრომას, როგორც ფიზიკური და გონებრივი განვითარების საშუალებას. გ. წერეთლის „თვით-მოქმედებაშიც" იგივე აზრია გატარებული. „ჩვენს დროში, — განმარტავს ავტორი, — ჰგონიათ, რომ ფიზიკური მუშაობა კაცს დაამდაბლებს და იმისთვის სრული ყურადღებაა მიქცეული მხოლოდ გონების გახსნაზედ, თუმცა ამგვარი მოქმედება ყმაწვილის სიმრთელის დამღუპველია. ამ გვარათ, ტვინი სხვა სხეულის ნაწილებზედ მომეტებულად მუშაობს და როდესაც ყმაწვილის გონება სისრულეში შედის, მაშინ იმისი ჯერ ჩვილი სხეული სნეულდება, იმას ეკარგება სიცოცხლე და სიმკვირცხლე. აი, ეს არის მიზეზი, რომ ჩვენს დროს იპოვებიან ბევრნი სუსტის კუჭით, ღონო ხელებით და მჩატე სხეულით". მაგრამ ავტორი არ კმაყოფილდება ამ განმარტებით და ფიზიკური შრომის უგულვებელყოფის კიდევ უფრო არასასურველ მოსალოდნელ შედეგს გვიხატავს: „მაგრამ ნუ გეგონებათ, რომ მარტო ფიზიკურს მხარეს ეძლეოდეს ამისგან ვნება. თვით ჩვენი გონება დამახინჯდება და ზნეობითი ძალნი დაჰკარგავენ თავის სიცოცხლეს და ძლიერებას... ფიზიკური შრომის სიძულვილისაგან წარმოსდგება უკმაყოფილება, უსაქმოება, რაღაც უგუნური გამოშტერება".

თავის წერილში გ. წერეთელი მიმართავს მშობლებსა და პედაგოგებს, იმედს გამოთქვამს, რომ „პედაგოგია როდესაც წარმატებაში შევა, მასწავლებლები მტკიცედ დარწმუნდებიან, რომ კაცისათვის როგორადაც საჭიროა გონების გახსნა, აგრეთვე საჭიროა სხეულის სიმრთელე, ფიზიკური შრომა, და ჩვეულებრივი საქმის წარმართვა".

ისიც საგულისხმო ფაქტია, რომ ქართველი მკითხველის დაინტერესების მიზნით გ. წერეთელს ზოგჯერ მოჰყავს მაგალითები გამოჩენილი ადამიანების ცხოვრებიდან, აცნობს მათს აზრებს აღზრდაზე. აი, ცნობა ერთი ევროპელი სწავლულის შესახებ: „ის ეუბნებოდა თავის შვილს: ეჭვი არ არის, რომ მეცნიერების, ხელოვნების და ბუნების ცოდნა გაართობს და გაამახვილებს შენს გონებას, მაგრამ ამასთან შენი სხეულიც უნდა გამაგრდეს, — ამისათვის მე დიდად მოსურნე ვარ, რომ შენ მიაქციო ყურადღება სხეულის ვარჯიშობასაც".

ვიმეორებ, ეს სტატია დაისტამბა 1867 წელს. მართალია, მანამდე ჟურნალ „ცისკარსა" და „საქართველოს მოამბეში" რამდენიმე ავტორმა (მ. თუმანიშვილი, ა. სულხანიშვილი, პ. ჩარექიშვილი, ვ. მაჩაბელი, ვ. თულაშვილი, ქ. ზალცმანი, მ. ღოღანიძე) მიაწოდა მკითხველს ზოგიერთი აზრი ფიზიკური აღზრდის შესახებ, მაგრამ გ. წერეთლის „თვით-მოქმედება", გამოქვეყნებულ მასალათა შორის, იყო პირველი, რომელშიც საფუძვლიანად, იმ დროის პირობაზე მეცნიერულად იქნა განხილული მოზარდი თაობის ჰარმონიულად აღზრდის პრობლემები.

ავთანდილ ციბაძე.

დასაწყისი იხ. „ლელო" №№ 39, 43.

კიკეთის ველზე

ახლახან კიკეთის მიდამოებში პირველად მოეწყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველობა სათხილამურო სპორტში. სასპარეზოდ შერჩეული იყო მარტივი ტრასა თერთმეტი გასასვლელი კარით. საინტერესო პაექრობაში გაიმარჯვა და ინსტიტუტის ჩემპიონი გახდა ლ. ჭალაგანიძე, II ადგილი დაიკავა გ. თავბერიძემ, III ადგილი გაიყვეს დ. გასვიანმა (ყველა — სამთო ფაკულტეტი) და დ. ზარნაძემ (გეოლოგიური ფაკულტეტი).

როგორც ამ ღონისძიების ერთ-ერთმა ინიციატორმა, ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრის უფროსმა მასწავლებელმა თ. გასვიანმა გვითხრა, მსგავსი შეჯიბრებები ყოველწლიურად გაიმართება.

ჯ. სალუქვაძე.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ლ. ჭალაგანიძე ფინიშთან.

ავტორის ფოტო.

„სამფეროვნები" ესპანეთის შემდეგ

დღეს პარიზში

დღეს, როგორც ცნობილია, პარიზის „პარკ დე პრენსის" სტადიონზე გაიმართება ამხანაგური საერთაშორისო მატჩი საფრანგეთისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის.

ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატში „სამფეროვნებმა" ბრწყინვალედ ითამაშეს, მაგრამ შემდეგ გუნდის შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებები მოხდა, მწვრთნელმა მიშელ იდალგომ გადაახალისა ზოგიერთი რგოლი, გამოსცადა ახალგაზრდების ჯგუფი.

მსოფლიო პირველობის დამთავრების შემდეგ საფრანგეთის გუნდმა 4 საერთაშორისო მატჩი ჩაატარა.

31 აგვისტოს ფრანგებმა მიიღეს პოლონელები. ამ დღეს არ თამაშობდა მ. პლატინი, რომელიც საფრანგეთის ნაკრების სული და გულია. ტრავმის გამო მატჩი გამოტოვა ჟირესმაც. პოლონელებმა იოლად გაიმარჯვეს — 4:0. „სამფეროვნების" შემადგენლობა ასეთი იყო: ეტორი, ამორო, ჟანვიიონი, ტრეზორი, ბოსი (მაიუ), ტიგანა, ბლიოტა (ფერერი), ჟენგინი, დელამონტანი, სტოპირა (ბრავო), სოლერი.

გაცილებით უკეთ ითამაშეს ფრანგებმა პარიზში 6 ოქტომბერს უნგრელთა წინააღმდეგ. ეს, ერთი მხრივ, უნდა აიხსნას გუნდში ვეტერანთა ჯგუფის დაბრუნებით, ხოლო, მეორე მხრივ, ფსიქოლოგიური წონასწორობის აღდგენით. ფრანგების შემადგენლობა ასეთი იყო: კასტენადა, ბოსი, მაიუ, ტრეზორი, ტისო, ტიგანა (კურიოლი), ჟენგინი (ფერერი), ჟირესი, პლატინი, რუსე (ჟანვიიონი), სიქსი (სოლერი). გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 1:0. ერთადერთი გოლი რუსემ გაიტანა.

10 ნოემბერს ფრანგებს გასვლითი მატჩი ჰქონდათ როტერდამში, სადაც ანგარიშით 2:1 სძლიეს ჰოლანდიელებს. გოლები გაიტანეს ბატისტონმა და პლატინიმ. გუნდის შემადგენლობაში კვლავ ცვლილებები მოხდა: ტემპე, ბატისტონი, ტრეზორი, ბოსი, ამორო, ფერერი, ტიგანა, პლატინი, ფერნანდესი, რუსე (სტოპირა), ფერატრჟი (ბრისონი).

წლეულს ფრანგებმა ჯერჯერობით ერთი მატჩი გამართეს პორტუგალიის ნაკრებთან ქ. გიმარაეშში. პორტუგალიელები თავიანთი უძლიერესი შემადგენლობით გამოდიოდნენ, მაგრამ სტუმრებთან ვერაფერი გააწყეს.

ფრანგებმა თავიდანვე გატეხეს მეტოქეები, როცა მე-6, მე-7 წუთებზე ზედიზედ 2 გოლი გაიტანეს (სტოპირა, ფერერი). მეორე ტაიმში სტოპირამ კიდევ ერთი ბურთი მოათავსა პორტუგალიელთა კარში — 3:0. ფრანგების შემადგენლობა: ტემპე, ბატისტონი, მაიუ, ბოსი, ამორო, ფერნანდესი (ტისო), ჟირესი, ფერერი (ტიგანა), პლატინი, ამისი, სტოპირა (როშტო).

მ. იდალგოს რამდენიმე რთული პრობლემა აქვს გადასაჭრელი. იგი ჯერ კიდევ ეძებს საიმედო მეკარეს. მის გუნდში, უდავოდ, უძლიერესია დაცვის ხაზი, სადაც მწვრთნელს საკმაო არჩევანი აქვს. ვეტერანმა ტრეზორმა ჩაატარა 63 მატჩი, რითაც გაუთანაბრდა ეროვნული რეკორდის მფლობელს მარშს. შუა ხაზი მეტად ძლიერია, ალბათ ერთ-ერთი საუკეთესოც კია მსოფლიოში. ახლა პლატინის, ჟირესს, ტიგანას, ჟენგინის, ლარიოს, კურიოლს მიემატნენ მეტად პერსპექტიული ფერერი და ფერნანდესი. შედარებით სუსტია თავდასხმა. მწვრთნელი უკვე აღარ უხმობს ვეტერან ლაკომბს, იშვიათად თამაშობს როშტო. „ახალი ფორმაციის" თავდამსხმელებს შორის გამოყოფენ სტოპირას, რომელიც ენერგიით და შედეგიანობით გამოირჩევა.

გ. ბამრეკელი.

• • •

სურათზე: მსოფლიო ჩემპიონატის მატჩის მომენტი საფრანგეთისა და პოლონეთის გუნდებს შორის, სადაც გამარჯვება წილად ხვდათ პოლონელებს — 3:2.

ერერას აზრით

ფეხბურთის ცნობილი მწვრთნელი ელენიო ერერა ამჟამად ესპანეთის „ბარსელონას" გენერალური დირექტორია. ჟურნალისტებთან საუბარში მან ამას წინათ განაცხადა:

— იტალიის ლიგის უძლიერეს ფეხბურთელებად მიმაჩნია არა ადგილობრივი, არამედ უცხოელი მოთამაშეები: ბრაზილიელი ფალკაო, პოლონელი ბონეკი, ფრანგი პლატინი და დასავლეთგერმანელი მიულერი. ბონეკი „ბარსელონასაც" არ აწყენდა...

აპირებენ „სანტოსის" აღორძინებას

როცა ბრაზილიის ცნობილ საფეხბურთო კლუბ „სანტოსში" გამოდიოდნენ პელე, ტოსტაო, კლოდოალდო, ჩეიასო, ზიტო და სხვა ვარსკვლავები, იგი ერთ-ერთი უძლიერესი იყო მსოფლიოში და საკონტინენტთაშორისო თასსაც ფლობდა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ „სანტოსის" ახალ ხელმძღვანელობას კვლავ გაუჩნდა დიდი ამბიციები. კლუბმა შეიძინა ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელები სერჟინიო და პაულო ისიდორო, მას განზრახული აქვს ტიტას, ბალთაზარისა და პერივარდოს შეძენაც. ერთი სიტყვით, ბრაზილიის „სანტოსს" კვლავ სურს დაიბრუნოს ძველი დიდება.

ამერიკელები იმედოვნებენ

ამერიკის შეერთებული შტატების ფეხბურთის ფედერაცია იმედს არ კარგავს, რომ 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატი სწორედ მის ქვეყანაში გაიმართება და საამისოდ უკვე თადარიგს იჭერს. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" იუწყება, რომ აშშ-ს ფეხბურთის ფედერაციამ თავის ოფიციალურ განაცხადს დაურთო 16 ყველაზე დიდი სტადიონის სია, სადაც მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები ჩატარდება. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს სტადიონი გათვალისწინებულია ამერიკული ფეხბურთისთვის, რომელსაც საერთო არაფერი აქვს საყოველთაოდ ცნობილ თანამედროვე ფეხბურთთან და თუ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით მსოფლიო ჩემპიონატი აშშ-ში ჩატარდება, ეს სტადიონები უნდა გადაკეთდეს. კერძოდ, საჭიროა გაიზარდოს სათამაშო მინდვრის ფართობი, გაკეთდეს კარები და ხელოვნური საფარი შეიცვალოს ბუნებრივი ბალახის გაზონით.

ამერიკელთა შესაძლებლობებს შეისწავლის ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის კომისია.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

გდრ

ისევე, როგორც შარშან, სხვა გუნდებთან შედარებით ძლიერად თამაშობს ბერლინის „დინამო", რომელშიც ნაკრების რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გამოდის. განვლილ ტურში ლიდერმა ანგარიშით 2:1 მოუგო ლაიფციგის „ლოკომოტივს".

	თ.	ბ.	ქ.
„დინამო" ბრ.	16	38—18	27
„კარლ ცაისი"	17	29—20	23
„ფორ." ოდ. ფრ	17	38—18	22

სნაიპერთა შორის პირველ ადგილზეა რიდიგერი (ბერლინის „დინამო"), რომელმაც 16 ბურთი გაიტანა.

ჩეხოსლოვაკია

პრაღის „ბოჰემიანსმა" 40-ზე მეტი ოფიციალური მატჩი წაუგებლად ჩაატარა, მაგრამ ჩემპიონატის XVIII ტურში დამარცხდა პრაღის „სპარტასთან" — 0:2, თუმცა, ლიდერობა მაინც შეინარჩუნა.

„ბოჰემიანსი"	18	41—20	26
„ხლავია" პრაღა	18	35—22	24
„ბანიკი" ოსტრ.	17	31—18	24

სნაიპერთა შორის პირველ ადგილზეა იანეჩკა (ბრნოს „ზბროიოვკა") — 11 ბურთი.

იუგოსლავია

XIX ტურში ლიდერი — ბელგრადის „პარტიზანი" შინ დამარცხდა „სარაევოსთან" (0:1) და მეორე ადგილზე გადაინაცვლა, მისმა უახლოესმა მდევარმა ზაგრების „დინამომ" კი ანგარიშით 4:0 სძლია ნოვი-სადის „ვოივოდინას".

„დინამო" ზ.	19	37—22	26
„პარტიზანი"	19	31—20	25
„სარაევო"	19	31—21	22

ბელგია

ლიეჟის „სტანდარდი" თანდათან თმობს მოწინავე პოზიციებს. განსაკუთრებით მწარე დამარცხება იწვნია მან XXV ტურში „ბევერენთან"—1:4. ჩანს „სტანდარდს" გაუჭირდება „ანდერლეჰტსა" და „ანტვერპენთან" ბრძოლა.

„ანდერლეხტი"	25	55—27	37
„ანტვერპენი"	25	42—23	36
„სტანდარდი"	25	57—30	34

ჰოლანდია

„აიაქსი" ან „ფეიენოორდი"! ამ ორ გუნდს ერთგვარ მეტოქეობას მხოლოდ „პსვ ეინდჰოვენი" უწევს.

„აიაქსი"	25	70—26	41
„ფეიენოორ."	25	54—26	41
„პსვ ეინდჰ.	25	58—24	38

ინგლისი

ჩემპიონატის კალენდარი ბოლო ხანებში დაირღვა, ზოგ გუნდს 31 მატჩი აქვს ჩატარებული, ზოგს — 28.

ბოლო ტურის შეხვედრები: „კოვენტრი სიტი" — „ტოტენჰემ ჰოტსპური" 1:1, „ლივერპული" — „ვესტ ჰემ იუნაიტედი" 3:0, „ნოტინგემ ფორესტი" — „ლუტონ თაუნი" 0:1, „სტოკ სიტი" — „სანდერლენდი" 0:1, „სუონსი სიტი" — „მანჩესტერ სიტი" 4:1, „უოტფორდი" — „ნოთს ქაუნთი" 5:3, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" — „იფსვიჩ თაუნი" 4:1.

„ლივერპული"	30	73-24	69
„უოტფორდი"	30	55-34	55
„მანჩ. იუნ".	29	39-23	51

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები.

ესპანეთი

ჩემპიონატის მორიგი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში გათამაშების ლიდერებს — მადრიდის „რეალსა" და ბილბაოს „ატლეტიკოს" შორის განსხვავება სულ ერთი ქულაა. „რეალმა" ფრედ ითამაშა შარშანდელ ჩემპიონთან — სან-სებასტიანის „რეალთან" — 0:0, „ატლეტიკომ" კი მოულოდნელად დიდი ანგარიშით წააგო სტუმრად „ბეტისთან" — 1:5. მესამე ადგილზეა „ბარსელონა", რომელმაც ანგარიშით 4:0 დაამარცხა „სელტა".

სატურნირო მდგომარეობა 29 ტურის შემდეგ ასეთია: მადრიდის „რეალი" — 43 ქულა, ბილბაოს „ატლეტიკო" 42, „ბარსელონა" — 40.

საყოველთაო ინტერესს იწვევს მორიგი ტური, სადაც ერთმანეთს ხვდებიან მადრიდის „რეალი" და „ბარსელონა".

იტალია

„რომამ" და „იუვენტუსმა" შესაბამისად შინ მიიღეს „უდინეზე" და „პიზა". ორივე მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0. მესამე ადგილზე მყოფმა „ვერონამ" ამავე ტურში ანგარიშით 2:1 დაამარცხა „ასკოლი".

ლიდერთა მდგომარეობა 24 ტურის შემდეგ: „რომა" 34 ქულა, „იუვენტუსი" — 31, „ვერონა" — 30.

გფრ

„ჰამბურგმა" სტუმრად მხოლოდ ფრეს მიაღწია „ბოხუმთან" — 1:1, ხოლო მიუნხენის „ბაიერნმა" ასევე ანგარიშით დაამთავრა შეხვედრა ბრაუნშვაიგის „აინტრაჰტთან". დორტმუნდის „ბორუსიამ" შინ მარცხი განიცადა „ვერდერთან" შეხვედრაში — 2:4.

25 ტურის შემდეგ „ჰამბურგს" 37 ქულა აქვს, „ბაიერნს" — 35, „ბორუსიას" — 34.

საფრანგეთი

ლიდერთა მდგომარეობა 28-ე ტურის შემდეგ არ შეცვლილა: „ნანტმა" სტუმრად მოუგო „მეცს" — 4:0, „ბორდომ" — „ლიონს" — 5:3, ხოლო „პარი სენ-ჟერმენმა" დაამარცხა „სოშო" — 2:1.

„ნანტს" 40 ქულა აქვს, ლიდერს 8 ქულით ჩამორჩება „ბორდო", „პარი სენ-ჟერმენმა" 34 ქულა დააგროვა.

პორტუგალია

წამყვანი გუნდების მდგომარეობა ამ ქვეყნის ჩემპიონატში უცვლელია: 22 ტურის შემდეგ ლისაბონის „ბენფიკას" 37 ქულა აქვს, „პორტოს" — 34, „სპორტინგს" — 33.

პორტუგალიის ეროვნული ნაკრები მალე შეუდგება სამზადისს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისათვის სსრ კავშირის გუნდთან.

ეს მატჩი, როგორც ცნობილია, 27 აპრილს გაიმართება.

ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერია „პორტოს" თავდამსხმელი გომეში, რომელმაც მეტოქეთა კარში 28 ბურთი გაიტანა, სხვათა შორის ეს ჯერჯერობით საუკეთესო შედეგია ევროპის ქვეყნების ეროვნულ ჩემპიონატებში.

შოტლანდია

ამ ქვეყნის ჩემპიონატში გუნდებმა სხვადასხვა რაოდენობის მატჩები ჩაატარეს, მაგრამ ლიდერებს — „აბერდინს" (42) ქულა, „სელტიკს" (41) და „დანდი იუნაიტედს" (39) ვეღარავინ დაეწევა.

შოტლანდიის სპორტული პრესა სინანულით იუწყება, რომ ვერაფრით ვერ მოხერხდა „პართსის" ფეხბურთელის ვილი ჯონსტონის მოთვინიერება. ფეხბურთის მოყვარულებს, ალბათ, ახსოვთ, რომ არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატზე ვ. ჯონსტონს დისკვალიფიკაცია მისცეს დოპინგის მიღებისათვის. ახლა ეს ფეხბურთელი 36 წლისაა და ძველებურად თავაშვებულად იქცევა სტადიონზე. „სელტიკთან" შეხვედრაში ჯონსტონმა განზრახ მოარტყა ფეხი ერთ-ერთ მეტოქეს, რისთვისაც იგი მინდვრიდან გააძევეს. ეს, თურმე, მეცხრამეტე გაძევებაა ვ. ჯონსტონის პროფესიული კარიერის მანძილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

GENS UNA SUMUS

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩი

●

მეხუთე პარტია

ლვოვი, 22 მარტი (ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ.). გუშინ აქ გაფრინდაშვილი — ლევიტინას მატჩის მეხუთე პარტია შედგა. თეთრებით გაფრინდაშვილი თამაშობდა.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა პარტია ლაზიერის პაიკით დაიწყო. ლევიტინამ პასუხად ურთულესი დებიუტი — ძველინდური დაცვა გაითამაშა. მეტოქეებმა სხვადასხვა მხარეს გააკეთეს როქი. საკმარისი აღმოჩნდა ქართველი დიდოსტატი დაყოვნებულიყო, რომ ლევიტინამ თეთრების ლაზიერის ფრთას შეუტია. მან გახსნა ვერტიკალი თეთრი გვირგვინოსნის დასალაშქრავად, ლაზიერი და ორივე ეტლი იერიშში ჩააბა. გაფრინდაშვილს მძიმე პოზიცია შეექმნა. აქ ლევიტინა აჩქარდა. იმისათვის, რომ თეთრებს ეტლი დაეთმოთ ორ ფიგურაში, მან ორი პაიკი შეწირა. ამ გაცვლების შემდეგ ინიციატივას გაფრინდაშვილი დაეუფლა. ქართველმა დიდოსტატმა თამაში ენდშპილში გადაიყვანა, სადაც უფრო რელიეფურად გამოჩნდა ლევიტინას პოზიციის ხარვეზები. ამასობაში თამაშისთვის განკუთვნილი დრო ამოიწურა და პარტია გადაიდო.

აი, ეს პარტიაც:

გაფრინდაშვილი—ლევიტინა

ძველინდური დაცვა

1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 კg7 4. e4 d6 5. კe2 0—0 6. კg5 h6 7. კe3 e5 8. d5 მa6 9. ლd2 მc5 10. f3 მh5 11. g3 მფh7 12. 0—0—0 კd7 13. ეe1 ლe8 14. კd1 b5 15. c×b5 კ×b5 16. კ×c5 d×c5 17. მ×b5 ლ×b5 18. მe2 კf6 19. მc3 ლa5 20. მფb1 ეab8 21. ლc2 ეb4 22. მa4 ეfb8 23. ეe3 კg5 24. ეe2 c4 25. მფa1 კe7 26. ეf1 c3 27. ლ×c3 ე×a4 28. კ×a4 ლ×a4 29. ლ×c7 ლb5 30. ეb1 ეb7 31. ლc6 ლb4 32. ეc2 მf6 33. ეc4 ლb6 34. ლ×b6 a×b6 35. ეbc1 კc5 36. a3 მფg7 37. b4 კd4+ 38. მფa2 მe8 39. ეc8 მd6 40. ეd8 მb5 41. a4.



ამ მდგომარეობაში პარტია გადაიდო.

• • •

გუშინ საღამოს დამთავრდა მეხუთე პარტია. იგი ნონამ მოიგო 55-ე სვლაზე.

ამრიგად, მატჩის ანგარიშია 3:2 ი. ლევიტინას სასარგებლოდ. დღეს, 23 მარტს მეექვსე პარტია უნდა გაიმართოს.

საქართველოს თასის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში

საპატიო პრიზი — „შრომით რეზერვებს"



ასეთი შეჯიბრება კარგა ხანია არ გამართულა. სამი დღის მანძილზე თბილისის განათლების სამმართველოს ჭიდაობის სპეციალიზებული სპორტსკოლის დარბაზში საინტერესო პაექრობა იყო გაჩაღებული. ეს იყო ნამდვილი სპორტული ზეიმი, რომელსაც არავინ დაუტოვებია გულგრილი. რა თქმა უნდა, ორგანიზაციული თვალსაზრისით შეიმჩნეოდა ზოგიერთი ხარვეზი, მაგრამ მთავარი ის არის, რომ რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ინიციატივით კვლავ განახლდა საქართველოს თასის გუნდური გათამაშება რამაც არ შეიძლება დადებითად არ იმოქმედოს ჩვენი თავისუფალი ჭიდაობის შემდგომ განვითარებაზე. ასეთია სპორტის ხელმძღვანელი მუშაკების, მწვრთნელების, სპეციალისტების და თვით სპორტსმენების საერთო აზრი.

ამ შეჯიბრებამ ნათლად დაგვანახა, თუ რა მდგომარეობაშია დღეისათვის რესპუბლიკაში თავისუფალი ჭიდაობა, როგორი რეზერვი გვეზრდება, რას აკეთებენ სპორტული საზოგადოებები და უწყებები სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის.

საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე პოზიციები რომ დათმეს, ეს ყველასათვის კარგად არის ცნობილი. ისიც ცხადია, რომ უკანასკნელ პერიოდში გარკვეული წინსვლა იგრძნობა. აქ, პირველ ყოვლისა, ვგულისხმობთ საკავშირო ახალგაზრდულ შეჯიბრებებს, რომელშიც ჩვენმა მოჭიდავეებმა თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს. გამოვლინდა არაერთი პერსპექტიული სპორტსმენიც.

ტალანტები რომ არ გვაკლია, საქართველოს თასის გათამაშებამაც დაადასტურა. მართალია, ამ შეჯიბრებაში რესპუბლიკის ნაკრების მხოლოდ რამდენიმე კანდიდატი გამოდიოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვიმეორებთ, ასპარეზობამ დიდი ინტერესი გამოიწვია, ორგანიზატორები, სპორტსკოლის მესვეურები, მსაჯები, სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა წარმომადგენლები გულისყურით მოეკიდნენ საქმეს. სარბიელზე ვიხილეთ 10 გუნდის 250-მდე მოჭიდავე — მოზრდილებიც და ჭაბუკებიც. საქმე ის არის, რომ დებულების თანახმად თითოეული გუნდი ორი შემადგენლობით გამოდიოდა, საბოლოო შედეგს მოზრდილთა და ჭაბუკთა ნაკრებების მოგება-წაგების ჯამი განსაზღვრავდა.

როგორც უკვე ითქვა, საქართველოს თასისთვის ბრძოლაში ჩაბმული 10 გუნდი თავდაპირველად 2 ქვეჯგუფად გაიყო. პირველ ქვეჯგუფში მოხვდნენ „დინამო", „სპარტაკი", „კოლმეურნე", „ლოკომოტივი", „ბურევესტნიკი", მეორეში — „შრომითი რეზერვები", „ზენიტი", ასკ, „განთიადი" და „ვოდნიკი". წინასწარი შეხვედრები დამაჯერებლად მოიგეს და ფინალში გავიდნენ „დინამოსა" და „შრომითი რეზერვების" მოჭიდავეები.

III ადგილის მფლობელი ფინალურ ორთაბრძოლებამდე გამოვლინდა. აქ ერთმანეთს ეცილებოდნენ „ზენიტისა" და „სპარტაკის" გუნდები. ჩვენს რესპუბლიკაში სპორტსაზოგადოება „ზენიტი" სულ რამდენიმე წელიწადია რაც არსებობს, აქაური მოჭიდავეები კი უკვე წარმატებით გამოდიან რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში. ნაყოფიერად მუშაობენ რ. დობორჯგინიძე, ჯ. ლორია და სხვა მწვრთნელები. მათმა აღსაზრდელებმა ამჯერადაც გამოიჩინეს თავი, დაამარცხეს „სპარტაკის" ნაკრები და III ადგილი დაიკავეს. აქვე ვიტყვით, რომ მოულოდნელი იყო „განთიადისა" და „კოლმეურნეს" კოლექტივების წარუმატებლობა. განთიადელების მოზრდილთა გუნდი არავის ჩამოუვარდებოდა, მაგრამ ჭაბუკებმა ვერ გაამართლეს და საბოლოოდ პრიზიორთა შორის ვერ მოხვდნენ. გაცილებით მეტი მოეთხოვება სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს". ჩანს აქაურმა მწვრთნელებმა საგრძნობლად მოადუნეს ყურადღება და ამის გამო ვერც ხეირიან გუნდს მოუყარეს თავი.

...ფინალი. „შრომითი რეზერვები" — „დინამო". ცხადია, გადამწყვეტმა შეხვედრამ განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია, თუმცა უნდა ითქვას, რომ ნამდვილი ბრძოლა არ შედგარა. „შრომითი რეზერვების" მოჭიდავეთა უპირატესობა აშკარა იყო: მოზრდილებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 28:11, ჭაბუკებმა კი — 27:21.

აი, ვინ იცავდა საქართველოს 1983 წლის თასის მფლობელის — „შრომითი რეზერვების" გუნდის ღირსებას: მოზრდილთა ნაკრები — შ. გაჯიევი, ს. ბახრუდინოვი, რ. კუდუხოვი, ჯ. გოგსაძე, ჯ. ბეთაევი, ნ. პატურაშვილი, მ. ციმაკურიძე, ა. გოგოლიშვილი, მ. რაზმაძე, გ. გალდავა, ზ. ძაძამია; ჭაბუკები — გ. ჩიკვილაძე, გ. გამხიტაშვილი, ზ. ბასიშვილი, მ. ჭარბაძე, გ. ამირანაშვილი, მ. ნუცუბიძე, ა. ძოლოშვილი, ს. აბაშვილი, ჯ. მერაბიშვილი, ვ. სულთანიშვილი, ბ. წამალაშვილი, მ. მაისაშვილი, ლ. ებანოიძე, მწვრთნელები — ვ. ნიკოლაძე, ტ. ჭარბაძე, თ. ბენდიანიშვილი, მ. ფასურიშვილი.

ბ. ელგუჯაური.



ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: საქართველოს გარდამავალი თასი თავისუფალ ჭიდაობაში; ნ. ბერიაშვილისა („დინამო") და გ. ამირანაშვილის („შრომითი რეზერვები") შეხვედრის მომენტი; საქართველოს თასის მფლობელი „შრომითი რეზერვების" გუნდი.

კ. ხალუქვაძის ფოტოები.

წესრიგი ყველგან, ყველაფერში!

●

კარი გადავურაზოთ!

სულ რამდენიმე დღეში თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონის ტრიბუნებს ათიათასობით ფეხბურთის მოყვარული აავსებს — დაიწყება საბჭოთა კავშირის მორიგი ჩემპიონატი ფეხბურთში...

თბილისელმა გულშემატკივარმა მშვენივრად იცის სპორტის ამ შესანიშნავი სახეობის ყადრი, ამიტომაა, ქვეყნის წამყვანი გუნდები თბილისში რომ ამჯობინებენ თამაშს. ეს უფრო მეტად გვავალებს განუხრელად დავიცვათ მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგი ჩვენს შესანიშნავ სტადიონზე. მაგრამ ყველა „გულშემატკივარი" ფიქრობს ასე? ვაი, რომ არა. გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს.

მალხაზ საბანაძე 21 წლისაა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი სწავლას კარგად უთავსებს შრომას — საქართველოს სსრ კომუნალური სამინისტროს ტრესტ „საქკომუნსპეცმშენის" სისტემაში მუშაობს.

ასეთ ახალგაზრდაზე კარგის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ..

შარშან, 7 აპრილს, „დინამოს" სტადიონზე ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი უნდა გამართულიყო. თამაშის დაწყებამდე ოცდაათიოდე წუთი იყო დარჩენილი, გულშემატკივრებს სტადიონის იარუსები უკვე აევსოთ და მოუთმენლად ელოდნენ თამაშის დაწყებას.

მეორე იარუსის მე-19 სექტორის კიბეზე წარმოსადეგი ახალგაზრდა გაჩხერილიყო, გზა შეეკრა და ბილეთიან მაყურებელს თავიანთ ადგილებზე არ უშვებდა — როგორც იტყვიან, „ანგლობდა". ერთ ხანდაზმულ მაყურებელს ბილწსიტყვაობის „მარგალიტებით" ამკობდა.

ეტყობოდა, ახალგაზრდა კარგა გვარიანად იყო შექეიფიანებული. ხმაურზე და ჩოჩქოლზე გამოცხადდა მილიციის კაპიტანი ა. გოგოლაძე, რომელმაც თავაშვებული ახალგაზრდა განზე გაიყვანა.

— აბა, რატომ არღვევთ წესრიგს, თქვენი სახელი და გვარი? საბუთები მაჩვენეთ!

კაპიტნის შეკითხვაზე ყმაწვილი ოდნავ შეცბა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა და მილიციის მუშაკს შეუტია: რის წესრიგი, რა წესრიგი, მოგცლია ერთი. ჩემი სახელი და გვარი თუ გაინტერესებს, დაიმახსოვრე: გია გიორგის ძე ნადარაშვილი. აბა, კარგად იყავი.

მაგრამ მილიციის კაპიტანი ასე ადვილად როდი დაემშვიდობა თავხედს. გია გიორგის ძე ნადარაშვილს — იგი წესრიგის დაცვის შტაბში მიიყვანა. აქ კი გამოირკვა, რომ წესრიგის დამრღვევი ახალგაზრდის ნამდვილი სახელი და გვარი მალხაზ საბანაძეა. იგი პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლომ წვრილმანი ხულიგნობისათვის გაასამართლა.

• • •

ვაგიფ რუსტამოვი 29 წლის ახალგაზრდაა. ჩაწერილია თბილისში, ნარიმანოვის ქ. № 8-ში. მუშაობს ქ. ფოთის (?) ერთ-ერთ სამწვადეში, მზარეულად.

ვაგიფ რუსტამოვს ფეხბურთი ისე „უყვარს", რომ ფოთიდან თითქმის ყველა ცენტრალურ მატჩზე დასასწრებად ჩამოდის თბილისში.

გასული წლის 16 მაისს ვაგიფმა თბილისში ჩამოსვლისთანავე „დინამოს" სტადიონს მიაშურა და ბილეთი შეიძინა. ფეხბურთის დაწყებამდე საკმაო დრო იყო. დროს კი ვაგიფი უქმად არასოდეს კარგავს. მან ერთ-ერთ რესტორანს მიაშურა, იპურმარილა და კარგადაც შეზარხოშდა. ისე გაერთო, რომ ფეხბურთი ლამის გადაავიწყდა. ბოლოს მანქანა დაიქირავა და სტადიონზე თამაშის დაწყებამდე სულ რამდენიმე წუთით ადრე მოვიდა. ფაციფუცით გადმოვიდა მანქანიდან, შესასვლელთან მიიჭრა, მიყარ-მოყარა ხალხი და ურიგოდ მოინდომა შესვლა სტადიონზე.

— მოქალაქევ, რიგი დაიკავეთ — წესრიგისაკენ მოუწოდა ვაგიფ რუსტამოვს მილიციის მუშაკმა ა. წიქარაძემ.

ვაგიფმა ყურიც არ შეიბერტყა, კვლავ ჯიქურ მიიკვლევდა გზას, თან მუჯლუგუნებით და გინებით უმასპინძლდებოდა მათ, ვინც „ხელს უშლიდა"...

სტადიონის ნაცვლად ვაგიფი მილიციის განყოფილებაში აღმოჩნდა. იგი წვრილმანი ხულიგნობისათვის გაასამართლეს.

დღეს ყველას მოვუწოდებთ: არ დავუშვათ, ფეხბურთის სტადიონის კარი ჩავუკეტოთ ჩხუბისთავებს, ლოთ-შფოთებსა და ბახუსის მოყვარულთ!

ზ. მესხენგისერი,
საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; კადრების — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვებები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე — 07476